

**ქართული ენდემური ყურძნის ჯიშის საფერავის ფლავონოიდების გავლენა
გლუტამატერგული და ქოლინერგული დისფუნქციით განპირობებულ ქცევით და
მეხსიერების დარღვევაზე ჰიპოკამპში**

გიორგი ვაშალომიძე, ნანული დორეული
giorgi.vashalomidze611@ens.tsu.edu.ge

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.2, 0143, თბილისი

სივრცითი მეხსიერების დეფიციტი მრავალი ნევროლოგიური დარღვევის თანმხლები პროცესია. აღნიშნული ფორმის მეხსიერების გაუარესება ასოცირებულია ჰიპოკამპში მიმდინარე პლასტიკური პროცესების მექანიზმების მოშლასთან. ჰიპოკამპის ფუნქციონირება თავის მხრივ მრავალი მედიატორული თუ მოდულატორული სისტემის დაბალანსებულ აქტივობასთანაა დაკავშირებული. ამდენად, სხვადასხვა ფორმის მეხსიერების დარღვევის დროს, ჰიპოკამპის აღნიშნულ სისტემებს შორის გამოვლენილი დისბალანსის აღდგენა ძალზედ აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არსებული მედიკამენტოზური მკურნალობის ფართო სპექტრი ასოცირდება მრავალი გვერდითი არასასურველი ეფექტის გამოვლენასთან. ამდენად, მნიშვნელოვანია მოიძებნოს ისეთი ეფექტური ნატურალური პრეპარატები, რომელნიც აღადგენენ როგორც ქოლინერგული დისფუნქციით განპირობებულ სივრცითი მეხსიერების დარღვევას, ისე კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით განპირობებულ მეხსიერების დეფიციტს. უკანასკნელ წლებში ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ფენოლურმა ნაერთებმა. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა განგვესაზღვრა ქართული ენდემური ყურძნის ჯიშის "საფერავის" ფლავონოიდების ეფექტები ქოლინერგული ანტაგონისტის - სკოპოლამინისა და გლუტამატერგული აგონისტის - კაინის მჟავას ერთჯერადი ინტრაპერიტონული ინექციით განპირობებულ დასწავლა/მეხსიერებისა და ქცევითი დარღვევების სპექტრზე.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების წინასწარი კვება (25მგ/კგ. 8 დღე დღიური ნორმა) ზრდის სკოპოლამინის ინექციით განპირობებული ამნეზიის ინდუქციის ზღურბლს, და ასევე ეფექტურად იცავს ვირთაგვებს კაინის მჟავას ერთჯერადი ინექციით განპირობებული ნეირონების კვდომისა და ამ კვდომასთან ასოცირებული მეხსიერების დეფიციტისგან.